



მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №208

2016 წლის 18 ნოემბერი

ქ. მცხეთა

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის სესხის აღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-19 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მეორე ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ.ე.“ ქვეპუნქტის, მე-100 მუხლისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 17 ნოემბრის №10/4935 მომართვის საფუძველზე,

1. მიეცეს თანხმობა მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას, საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის 2016 წლის 12 ივლისს გაფორმებული გრანტისა და სასესხო ხელშეკრულებების შესაბამისად, საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის ფარგლებში, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის ნაგავშხიდი მანქანებისა და ნარჩენების კონტეინერების შექმნისათვის აიღოს სესხი 227. 714 (ორას ოცდაშვიდი ათას შვიდასთოთხმეტი) ათასი ევრო.
2. განკარგულების შესახებ ეცნობოს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება, გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. მცხეთა, სამხედროს ქ №17.

საკრებულოს თავმჯდომარე



ჯემალ სოლოლაშვილი